ხელშეკრულება № 46

ქ. ქობულეთი

7 ოქტომბერი 2013 წ.

ერთის მხრივ ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება მისი დირექტორის ლამარა ქათამაძის სახით შემდგომში („შემსყიდველი") და მეორეს მხრივ ი/მ."ვახტანგ მაკარაძე" შემდგომში („მომწოდებელი"), ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე "მომწოდებელი" თანახმაა მიაწოდოს შემსყიდველს "პრინტერის კარტრიჯები" შემდგომში "საქონელი", აგრეთვე მოახდინოს მისი პერიოდული დატუმბვა, ხოლო "შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით , საბიუჯეტო სახსრებით.

1.2 მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს: 700 (შვიდასი) ლარს.

1.3 შესყიდვის ობიექტის სახეობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფორმა №3-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. საქონლის მიღება—ჩაბარება

2.1. "საქონელი" ს მიღება-ჩაბარება ხორციელდება " მომწოდებელსა" და საბავშვო ბაღების გაერთიანების მნეს ზვიად ჯაფარიძეს შორის.

3. ანგარიშსწორება

3.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებაზე შესაბამისი სასაქონლო ზედნადების და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარებში, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მომწოდებლის"-ს საბანკო რეკვიზიტებზე.

4. სადავო საკითხების გადაწყვეტა

4.1 შემსყიდველმა და მომწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

4.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში დამკვეთი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

5. გამოყენებული სამართალი

5.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოების შედეგი.

6.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაუალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებულ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და /ან მომწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 ხელშეკრულება ძალაშიჰ თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წ'ლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

8. გადასახადები და ბაჟები

8.1 მომწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად, ორი ეგზემპლიარი ინახება შემსყიდველთან, ერთი ეგზემპლიარი ინახება მომწოდებელთან , სამივე მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის	ი/მ " ვახტანგ მაკარაძე "
საბავშვო ბაღების გაერთიანება	მის: ქ.ქობულეთი,რუსთაველის N120
მის: ქობულეთი, დ.აღმაშენებელის № 141	ს/კ 61004015142
ს/კ 446951790	სს „ საქართველოს ბანკი"-ს ქობულეთის
სს „ლიბერთი ბანკი'-ს ქობულეთის	განყოფილება ა/ნ
ფილიალი	GE70BG0000000179823000
ა/ა GE64LB0115172300800000	ბ/კ BAGAGE22
ბ/კ LBRTGE22	
დირექტორი: ლ.ქათამაძე	ვახტანგ მაკარაძე

ფორმა N3

ინფორმაცია საქონლის დასახელების,რაოდენობის და ფასის შესახებ

N	საქონლის დასახელება	ზ.ე.	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	კარტრიჯი 85 A	ცალი	8	65	520
2	კარტრიჯის დატუმბვა	ცალი	12	15	180
	სულ				700

ი/მ ვახტანგ მაკარაძე